ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა და ქალი ავტორების საკითხი თურქულ ლიტერატურაში
FEMINIST LITERARY CRITICISM AND THE ISSUES OF WOMEN WRITERS IN THE TURKISH LITERATURE

მზისა ბუსკივაძე
Mzisa Buskivadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanities

საკვანძო სიტყვები: *ფემინისტური კრიტიკა, ქალი ავტორები, ქალთა პროზა, თურქული ლიტერატურა.*
Key words: *Feminist criticism, women writers, women's prose, Turkish Literature.*

ლიტერატურაში ქალთა საკითხის კვლევა დაკავშირებულია ფემინისტურ თეორიებთან, რომელთა გავლენით საფუძველი ჩაეყარა ფემინისტურ ლიტერატურულ კრიტიკას. ფემინისტური კრიტიკისათვის მნიშვნელოვანია ქალის, როგორც ავტორისა და მკითხველის, კვლევა. თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ქალი ავტორების რაოდენობა თანდათან მატულობს. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში. მნიშვნელოვანია ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხიც. ქალმა ავტორებმა ლიტერატურაში ახალი თემები შემოიტანეს და სამყაროს ახლებური აღქმის პერსპექტივა განავითარეს. აქედან გამომდინარე, თურქულ ლიტერატურაში ქალი ავტორების მიერ გაშუქებული თემების გაანალიზება საინტერესო მასალას გვაძლევს, ზოგადად, ქალის ისტორიისა და გამოცდილების დადგენის თვალსაზრისით. ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკის ფენომენი ძალიან მნიშვნელოვანია ფემინისტური თეორიისათვის, ვინაიდან სწორედ აღნიშნული „პრობლემური ველის“ შიგნით დაისვა ისეთი კონცეპტუალური საკითხები, როგორებიცაა: ქალის სუბიექტობის სტრუქტურის საკითხი, რომელიც მამაკაცის სუბიექტობისგან განსხვავდება; ქალთა მეტყველების, ენისა და აზროვნების თავისებურების საკითხი; ქალური გამოცდილებისა და სექსუალობის საკითხი; რეპრეზენტაციის ქალური სტრატეგიისა და ქალის პოლიტიკური სტრატეგიის საკითხი. თურქულ ლიტერატურაში მკვლევრების მხრიდან ქალი მწერლების შემოქმედებით დაინტერესებამ ფემინისტური კრიტიკისადმი ინტერესი გაზარდა. თურქული ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ჟალ პარლა ფემინისტური კრიტიკის შესახებ საუბრისას ყურადღებას გენდერზე ამახვილებს და ფემინისტური კრიტიკის მიზანს შემდეგი სახით წარმოადგენს “ფემინისტურმა კრიტიკამ ისეთ მეთოდს მიმართა, რომლისთვისაც მანამდე ლიტერატურის არცერთ თეორიას არ მიუმართავს. ფემინისტურ კრიტიკას საფუძვლად მე-18 საუკუნეში დაწყებული ქალთა მოძრაობა დაედო. Fფემინისტური კრიტიკის მიზანია მამაკაცური იდეოლოგიის მიერ განსაზღვრული სქესობრივი როლების გამოვლენა. იგი

სოციალური ფაქტორების შემეცნებას, გაანალიზებას და შეცვლას ისახავს მიზნად" (Irzık, Parla, 2004:180). ქალის „მოლაპარაკე სუბიექტად" აღიარება მას საშუალებას აძლევს, დაამსხვრიოს სოციომითოლოგიზირებული ხატი და საკუთარი მსოფლმხედველობიდან და პერსპექტივიდან შეაფასოს გარე სამყარო. რატომ არის მნიშვნელოვანი ქალი ავტორის, როგორც „მოლაპარაკე სუბიექტის", იდენტიფიკაციის საკითხი? უპირველეს ყოვლისა, სწორედ იდენტიფიკაციისას ვლინდება ფენომენ „მოლაპარაკე სუბიექტის" სირთულე და ამბივალენტურობა. „ქალთა პროზასთან", როგორც ფემინურ იდეასთან, იდენტიფიკაცია ქალ ავტორებში აღნიშნული იდეისგან გაუცხოებასაც იწვევს. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ ექსტრალიტერატურული ფაქტორებით, არამედ იმით, რომ ქვეცნობიერად ქალები პატრიარქალური ენობრივი ტრადიციის მატარებლები არიან. ქალთა შემოქმედება განიხილებოდა არა როგორც წერის ტექნოლოგიური შედეგი, არამედ როგორც ქალის ბუნებრივი კრეატიულობისა და ფსიქოლოგიური თავისებურების შედეგი. ქალური მარგინალური ტოპოლოგიის ტიპიურ გამოვლინებად ქალების მიერ ფსევდონიმად მამების, ქმრების სახელების, ან ანონიმურობის მიზნით ფსევდონიმების გამოყენება ითვლება. ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ცნება „ქალთა ლიტერატურის" ჩამოყალიბებას. „ქალთა ლიტერატურის" ცნება, გულისხმობს ქალის მიერ შექმნილი თემების, ჟანრების, ლიტერატურის სტრუქტურათა შესწავლას. საგნების რიცხვში კი შედის ფსიქოდინამიკის, ლინგვისტიკის და ქალური ენის დინამიკის, ქალის კარიერის ინდივიდუალური და კოლექტიური ტრაექტორიის, ლიტერატურის ისტორიისა და ცალკეულ მწერალ ქალთა ნაწარმოებების შესწავლა. იმის განსაზღვრა, თუ რა ადგილი უჭირავს ქალს „მაღალ ლიტერატურად" მონათლულ, პატრიარქალური დომინანტებით გაჯერებულ შემოქმედებით სივრცეში საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ თურქთში „ქალთა ლიტერატურის" განვითრების პერსპექტივებზე. თურქეთში ცნება „ქალი მწერ-

ლის“ დამკვიდრების პროცესი კიდევ უფრო გართულებულია. მწერალი აფეთ ილგაზი ცნებისადმი თავის დუალისტურ დამოკიდებულებაზე საუბრობს: „ჩვენ ვცდილობთ, სიტყვა „ქალს“ მივეჩვიოთ. თურქულმა საზოგადოებამ მას უარყოფითი მნიშვნელობა მიანიჭა. ქალურობის ძალიან გვრცხვენია, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე საერთოდ არ აღიარებს მას. მეც მათ რიგებში ვიყავი. ორჰან ქემალს „მამაკაც მწერალს“ უწოდებს ვინმე? მაშინ მე რა უფლებით მიწოდებთ ქალ მწერალს. თუმცა ახლა ვხვდები, რომ ჩვენ სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო ვერ ვიღებთ და ვითავისებთ ცნება „ქალ მწერალს“, რითაც ქალურობაზე ვამბობთ უარს და მიგვაჩნია, რომ ქალად ყოფნა მხოლოდ სქესის თვალსაზრისით განსხვავებას ნიშნავს“ (Durakbaşa, 2012:16). თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ცნება “ქალური ლიტერატურა” და “ქალი მწერალი” ქალ ავტორებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ცნობილი მწერალი ქალები ადალეთ აღაოღლუ, სევინჩ ჩოქუმი, ბუკეტ უზუნერი, ნაზლი ერაი, ფერიდე ჯელალი ის ქალი მწერლებია, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ ცნება „ქალთა პროზის”, „ქალთა ლიტერატურის“ მიმართ. ფინარ ქური, ერდენიზ ათასუ, ინჯი არალი, ლეილა ერბილი, ნეზიჰე არაზი, ლათიფე თექინი, დუიგუ ასენა კი პატრიარქალურ კულტურაში ქალი მწერლების იდენტიფიკაციაზე, ადგილის დამკვიდრებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ამახვილებენ ყურდღებას. ვფიქრობ, იმ მწერლების დამოკიდებულებას, რომლებიც ცნება „ქალთა ლიტერატურის“ წინააღმდეგი არიან, დიდად განაპირობებს საზოგადოებრივი განწყობა.

ლიტერატურა:

არათი, ნ. (1991) Feminizmin ABC’ si . İstanbul: Say Yayınları.

ბერქთაი. ფ. (1998) Kadın olmak, Yaşamak, Yazmak. İstanbul: Pencere Yayınları.

დურაკბაშა, ა. (2012). Halide Edip, Türk Modernleşmesi ve Feminizm, İstanbul: İletişim Yayınları.

ირზიკ, ს. პარლა, ჟ. (2004). Kadınlar Dile Düşünce, Edebiyat ve Toplumsal cinsiyet. İstanbul: İletişim Yayınları.
კარაჯა, ნ. თ. (2006). Edebiyatımızın Kadın Kalemleri, Ankara: Vadi Yayınları.
მორანი, ბ. (2002) Edebiyat Kuramları ve Eleştiri. İstanbul: İletişim Yayınları.
შოუოლტერი, ე. (2004). Наша Критика: Автономность и ассимиляция в афро-американской и феминисткой теории литературы, Современная литературная теория, Антология, Москва: Издательство "Наука" .
ჟერებკინა, ი. (2000). Прочти моё желание, Постмодернизм, Психоанализ, Феминизм Москва: Идея-Пресс.
ჩაქირი, ს. (2011). Osmanlı Kadın Hareketi, İstanbul: Metis Yayınları.

In the literature, study of women's issue is related to the feministic theories with the influence of which feminist criticism of literature was formed. Study of women, as authors and as reader is of great significance in feministic criticism. In modern Turkish literature number of women authors increases gradually. Their contribution in development of national literature is indeed very great. The issue of identification of women authors is of significance. Women authors brought new themes in literature and developed the new perception of the world. Based on all this, analysis of the issues elucidated by women authors in Turkish literature provides very interesting materials, in general, with respect of determination of women's history and experience. Phenomenon of feminist criticism of literature is very significant for the feminist theory, as within this "problematic field" were stated such conceptual issues as: the issue of women's subjectivity structure, which is different from men's subjectivity; the issue of nature of women's speech, language and thinking; the issue of female experience and sexuality; the issue of female representation strategy and female political strategy. Increased interest of the researchers to the works of women writers caused interest to the feminist criticism. Recognition of woman as a speaking subject allows her to break the socially-mythologized image and assess the external world pursuant to her own world view

and perspective. Why the issue of identification of woman author, as the “speaking subject” is of such significance? First of all, this is the process of identification, which reveals complexity and ambivalent nature of the phenomenon of “speaking subject”. In the world, where the feminine values are rejected, women authors attempt to gain their own place. This is the step requiring courage and certain self-consciousness. Identification with the “women’s prose” as the feminine idea, can even cause estrangement with the mentioned idea in female authors. This is caused not only by the extra-literary factors but also by the fact that subconsciously, women are carriers of patriarchal language traditions. Characteristics of marginal topology of women authors are basically conditioned by the single fact. In the culture they were primarily perceived as women and only after this – as writers or poets. And reason of this was association of the literary discourse with the female body. It implies affective, emotional and sensitive nature. Women’s works were regarded not as the technological outcome of writing but as the result of natural creativity and psychological characteristics of women. Use of the names of their fathers or husbands or other pen names by women for anonymity could be regarded as typical manifestation of feminine marginal topology. The issue of identification of women authors is directly related to formation of the concept of “women’s literature”. Concept of “women’s literature” implies studying of the themes, genres, literary structures created by women. List of the subjects includes study of psychodynamics, linguistics and dynamics of feminine language, individual and collective trajectories of women’s carriers, history of literature and works of certain women writers. We shall consider the concept of “women’s literature” in details, as well as the issue of defining of the place of women writers in the literature of Tanzimat period, first and second halves of the republic period. On the example of experience of women poets and writers of the mentioned period, we shall reveal the difficulties, which they had to overcome and which are to be overcome by women authors even now, on their way for gaining of their identity. We shall discuss

the opinions dealing with the concepts of “women’s literature” and “female writer”; we shall emphasize the factors playing significant role for the negative attitude towards the mentioned concepts. Theorist and critic of Turkish literature, J. Parla, in discussing of feminist criticism, pais particular attention to gender and presents the goal of feminist criticism as follows: “feminist criticism applied the method not applied by any literature theory before. Feminist criticism is based on the women’s movement commenced in the 18th century. Goal of feminist criticism is identification of the gender roles determined by the masculine ideology. It’s goal is cognition, analysing and changing of the social factors” (Irzik, Parla, 2004:180).

Writer Afet Ilgaz discusses her dualist attitude towards this concept: “we attempt to get used to the word “woman”. Turkish society uses it in negative sense. We are ashamed of being women and some of our compatriots do not even recognize it. I was among them as well. Does anyone call Orhan Kemal a “man writer”? They why should I be called a “woman writer”? Though, now I understand that this is due to such attitude that we can not accept and acquire the concept of “woman writer” and thus we reject femininity and regard that being a woman means only the difference only with respect of sex” (Durakbaşa, 2012:16). In modern Turkish literature, the concept of “feminine literature” and “woman writer” cause different opinions among women authors. Famous women writers, Adalet Ağaoğlu, Sevinç Çokum, Buket Uzuner, Nazli Eray, Peride Celal are those writers, who express their protest against the concepts of “women’s prose” and “women’s literature”. Pinar Kur, Erdeniz Atasu, Inci Aral, Leyla Erbil, Nezihe Araz, Latife Tekin, Duygu Asena are concentrated on identification of women writers in patriarchal culture, gaining of their place and related issues. In our opinion, attitude of the writers who are against the concept of “women’s literature” is greatly influenced by the public attitude.

References:

Arat, N. (1991). Feminizimin ABC'si [ABC of Feminism]. Istanbul: Say Publishing

Berktay, F. (1998). Kadın olmak, Yaşamak, Yazmak [Being a Women Living Writing] İstanbul: Window Publishing

Durakbasha, A. (2012). Halide Edip , Türk modernleşmesi ve Feminizm, [Halide Edip, Turkish Modernization and Feminism]. İstanbul: Contact Publishing

Irzık, S. Parla, J. (2004). Kadınlar Dile Düşünce, Edebiyat ve Toplumsal Cinsiyet, [Women Language, Thought, Literature and Gender]. İstanbul: Contact Publishing

Karaca, N. T. (2006). Edebiyatımızın Kadın Kalemleri, [Women writers of our Literature]. Ankara: Valley Publishing

Moran, B. (2002). Edebiyat Kuramları ve Eleştiri, [Literary Theories and Criticism] İstanbul: Contact Publishing

Showalter, E. (2004). Nasha Kritika: Avtonomnost' i assimilyatsiya v afro-amerikanskoy i feministkoy teorii literatury [A criticism of our own: autonomy and assimilation in Afro-American and feminist literary Theory]. Modern literary theory, Anthology, Moscow: "Science" Publishing

Chakir, S. (2011). Osmanlı Kadın Hareketi, [Ottoman Women's Movement] İstanbul: Metis Publishing

Zherebkina, I. (2000). Prochti moyo zhelaniye, Postmodernizm, Psikhoanaliz, Feminizm [Read My Wish, Postmodernism, Psychoanalysis, Feminism. Moscow: Idea-Pres]